

განმარტებითი ბარათი

„სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ინტერესებიდან გამომდინარე იქმნება სარეზერვო სამსახური, რომელიც ხელს შეუწყობს შეიარაღებული ძალების წინაშე მდგარი ამოცანების სრულყოფილ განხორციელებას. ამდენად, სარეზერვო სამსახურის ფუნქციური დატვირთვა მოითხოვს, რომ შესაბამისი სასჯელი გათვალისწინებულ იქნეს სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულთა კატეგორიაში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი სასჯელები აღნიშნული სამსახურის გავლისათვის თავის არიდების ან თვითნებური მიტოვებისათვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა ისეთი სახის ქმედებისათვის, როგორც არის სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება, სარეზერვო სამსახურის მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება სამხედრო ან სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით ანდა ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობა, სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით.

კერძოდ, ახლებურად ყალიბდება კოდექსის 357-ე მუხლი: სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდებისთვის განისაზღვრება შემდეგი სახის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა: ჯარიმა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან ოთხმოციდან ორას ოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე.

კოდექსის 382-ე მუხლის პირველ ნაწილში შეტანილი ცვლილების თანახმად, სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულად ჩაითვლება კოდექსის შესაბამისი კარით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი რეზერვისტის მიერ სარეზერვო სამსახურის გავლისას.

ახალი რედაქციით ყალიბდება კოდექსის 389-ე მუხლი, რომლის თანახმად დეზერტირობად ჩაითვლება სამხედრო ან სარეზერვო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება სამხედრო ან სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით ანდა ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობა.

ამავე დროს, კოდექსს ემატება 390¹ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდებისათვის ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარი მოტყუებით. კერძოდ, სარეზერვო სამსახურის მოსამსახურის მიერ სამხედრო ან სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით, სხეულის თვითდაზიანებით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხვაგვარად მოტყუებით დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

კანონპროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დანახარჯებს არ იწვევს.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით დაფინანსებას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტი სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ იწვევს.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირისათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონის პროექტის მოქმედება.
კანონპროექტის მიღება არ აუარესებს აღნიშნულ პირთა ფინანსურ მდგომარეობას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მისი განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.
კანონპროექტი შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი